ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №473914

ნომერი: AR171831

თარიღი : 10.08.2012

გაცემის თარიღი : 17.12.2012

გაცნობის თარიღი : 18.12.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზი მეგენეიშვილი პ/ნ 01012003276
- თბილისი ვაზისუბნის III მ/რ II კვ. კორ. 10 ბ. 48

ორგანიზაცია:

- აღმაშენებელი 2011 კოდი: 206349619

ნომენკლატურა :

- სავაჭრო ცენტრი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 22.09.2011
- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: #1446

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ი.მ გოჩა გელაშვილი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გოჩა გელაშვილი
- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სავაჭრო ცენტრი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 35001056850

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: რამაზი მეგენეიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01012003276
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ამხანაგობა ”აღმაშენებელი 2011”
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206349619

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 5246.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 13066.2
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 450.9
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 4078.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2623.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 3661.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.5
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 5246 =კ1-0.8
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 20191.7 =კ2-3.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 90142.4
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1078.6 =კ3-0.2
- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 6500.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 92765.4
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 22462.8
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 1205.7
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 19.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 19.2

ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი-თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 30 აგვისტოს ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ამხანაგობა "აღმაშენებლი 2011"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.72.14.034.345) №331273 ბრძანებით შეთანხმდა სავაჭრო ცენტრის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, სადაც ბრძანების მე-4 პუნქტით დამკვეთს დაევალა ზემოაღნიშნული ბრძანების გამოცემიდან 4 (ოთხი) თვის ვადაში სამსახურში წარმოედგინა: მომიჯნავე მიწის ნაკვეთ(ებ)ის მესაკუთრ(ეებ)ის თანხმობა მიჯნის ზონაში ("27–1" ღერძებში) ღიობების განთავსების შესახებ ან პროექტი მოეყვანა დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაში.

ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი-თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 17 ოქტომბერს, 22 ნოემბერს და 14 დეკემბერს NAR171831 ელექტრონული განცხადებით მომართა ამხანაგობა "აღმაშენებელი 2011"–ის თავმჯდომარემ – რამაზი მეგენეიშვილმა და ველში –> საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე მიწის ნაკვეთ(ებ)ის მესაკუთრეთა თანხმობა ატვირთა: მომიჯნავე მიწის ნაკვეთების: საკ. კოდი N01.72.14.034.086–ის მესაკუთრის – მოქალაქე კარლო ხელაშვილის და საკ. კოდი N01.72.14.034.078–ის მესაკუთრის – სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"–ს თანხმობა მიჯნის ზონაში ("27–1" ღერძებში) ღიობების განთავსების შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ამხანაგობა "აღმაშენებელი 2011"–მა თბილისის არქიტექტურის სამსახურის მითითება შეასრულა დროულად. წარმოდგენილი დოკუმენტები კი უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შესრულებულად ჩაეთვალოს ამხანაგობა "აღმაშენებელი 2011"–ს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 30 აგვისტოს გაცემული №331273 ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა და დაერთოს მის მიერ 2012 წლის14 დეკემბერს NAR171831 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტები სამშენებლო დოკუმენტაციას.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 30 აგვისტოს №331273 ბრძანებასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.